ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

24 მაისი, 2024 წელი

დღის წესრიგი

საკრებულოს სააქტო დარბაზი

24 მაისი 12:00 სააათი

1. ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერიის გენდერული საკითხების 2023 წლის ანგარიში.
   მომხსენებელი: ელისო ჯიქია -გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2. 2024 წლის სოფლის მხარდამჭერი პროექტების ფარგლებშიგანხორციელებული სოფლისა და დასახლებების საერთო კრებების სტატისტიკური ანალიზი.
   მომხსენებელი: ელისო ჯიქია - მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. ქ. ხონში , მოსე ხონელის ქ. # 40-ში მულტიფუნქციური სპორტულ- გამაჯანსაღებელი და რეკრიაციული სივრცის მოწყობა.
   მომხსენებელი: გერასიმე მჟავანაძე, მერის პირველი მოადგილე, გენდერული საბჭოს წევრი;

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

24 მაისი 2024 წელი

ქ. ხონი

2024 წლის 24 მაისს , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში, ხონის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის კობა კუბლაშვილის ხელმძღვანელობით საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა , რომელსაც ესწრებოდნენ წევრები : მანანა გოფოძე, ზაზა ვაშაკიძე, ზაზა რუხაძე, ელისო ჯიქია, გურამ ბახტაძე,თამარ უგულავა, ზურაბ მიქაძე, ბაჩაბა ბასილაია, თეკლა ონიანი, აკაკი ქვათელაძე, მანანა აკობიძე, ლევან ჩიხლაძე, გერასიმე მჟავანაძე.

შეხვედრის დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერიის გენდერული საკითხების 2023 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: ელისო ჯიქია -გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2. 2024 წლის სოფლის მხარდამჭერი პროექტების ფარგლებშიგანხორციელებული სოფლისა და დასახლებების საერთო კრებების სტატისტიკური ანალიზი.

მომხსენებელი: ელისო ჯიქია - მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. ქ. ხონში , მოსე ხონელის ქ. # 40-ში მულტიფუნქციური სპორტულ- გამაჯანსაღებელი და რეკრიაციული სივრცის მოწყობა.

მომხსენებელი: გერასიმე მჟავანაძე, მერის პირველი მოადგილე, გენდერული საბჭოს წევრი;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე: მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ წარმოადგინა გენდერული საბჭოსა და მერიის სამსახურების მიერ განხორციელებული 2023 წლის აქტივობები, დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები და კიდევ ერთხელ მიმოიხილა ღონისძიებები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის მიმართულებით განხორციელდა. ,, ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელთა მოგვარება გათვალისწინებული იყო გენდერული საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს და იმედს ვიტოვებ, რომ ეს გამოცდილება საქმის უკეთესად კეთების საფუძველი გახდება,,.- განაცხადა ელისო ჯიქიამ. იხ. დანართი #1;

დღის წესრიგით გათვაისწინებულ მეორე საკითხზე: მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ წარმოადგინა სოფლის მახარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სოფლის კრებებისა და დასახლებების საერთო კრებების დასწრების ფურცლების მიხედვით მომზადებული სტატისტიკური მონაცემები . ,, გასულ წელს დავნერგეთ ზალიან კარგი პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ქალთა ჩართულობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში- სოფელს , სადაც სოფლი კრებებში ყველაზე მეტი ქალი ჩაერთვება, დამატებითი ფინანსური რესურსები გამოეყოფა. აღნიშნულმა ინიციატივამ მოგვცა ძალიან კარგი შედეგები და რეალურად გაიზარდა ქალთა მონაწილეობა თუნდაც ამ ერთი პროგრამის ფარგლებში. მიდინარე წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში,, სოფლების მიხედვით დავამუშავეთ მონაწილეთა სტატისტიკური მონაცემები, გვაქვს წინსვლა , რაც საფუძველს გვაძლევს , რომ ეს ინიციატივა არის შედეგიანი და უნდა გაგრძელდეს,,- განაცხადა ელისო ჯიქიამ. სხდომაზე სოფლების მიხედვით განიხილეს წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები. იხ. დანართი #2.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე: მომსხენებელმა გერასიმე მჟავანაძემ საბჭოს წარუდგინა ახალი მულტიფინქციური სპორტულ- განაჯანსაღებელი ცენტრის პროექტი, რომელის განხორციელებაც მოსე ხონელი ქუჩა # -40-ში იგეგმება და აღნიშნა , რომ ,, ჯანსაღიცხოვრების წესის ხელშეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების ერთ- ერთი პრიორიტეტული საკითხია. მოგვეცა ფინანსური შესაძლებლობა და გვსურს საზოგადოების ჩართულობით, მათი ნებითა და სურვილით, მათი ინტერესების შესაბამისად განვახორციელოთ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება გოგოებისა და ბიჭებისათვის, იქნება ადაპტირებული და მოსახერხებელი ყველა მოქალაქისთვის,,. იხ. დანართ # 3;

საბჭოს წევრებმა წარმოდგენილ საკითხებზე იმსჯელეს და მიიღეს შესანამისი გადაწყვეტილებები, შეიმუშავეს რეკომენდაციები:

საკითხი პირველი

მოცემული ანგარიში საკმაოდ მოცულობითია, ზედმიწევნით ასახავს ყველა აქტივობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიმართულებითაც საკმაოდ კარგი ნაშრომია. არ მაქვს შენიშვნები,, - მანანა გოფოძე, საბჭოს წევრი.

,,ჩემთვის სამაგიდო სახელმძღვანელო იქნება. ბევრი საქმე გვიკეთებია. იმედს ვიტოვებ, რომ ასეთივე ნაყოფიერი იქნება მიმდინარე წელი,, - ზურაბ მიქაძე, საბჭოს წევრი.

<u>გამოთქმული მოსაზრებების შემდგომ საბჭომ ანგარიში მოიწონა და გასცა რეკომენდაცია , რომ 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.</u>

საკითხი მეორე

,, ქალთა წახალისების ეს ფორმა კარგ შედეგებს გვაძლევს წლიდან წლამდე. ამას წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები და ციფრები უტყუარად ადასტურებენ. კარგი პრაქტიკაა და მივესალმები ამ პრაქტიკის გაგრძელებას,, - კობა კუბლაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე.

,, რა თქმა უნდა სასიხარულოა, რომ ქალთა წახალისების ეს ფორმა ჩვენთან ხონში შემუშავდა და ავტორი ჩვენი მუნიციპალიტეტია. მივესალმები ყველა ღონისძიებას, სადაც ქალთა ჩართულობის გაზრდაზე იქნება აქცენტები გაკეთებული,, - გელა ჩოგოვაძე.

<u>გამოთქმული მოსაზრებებისა და დადებითი შეფასებების შემდგომა საბჭომ გასცა რეკომენდაცია, რომ გენდერული ბიუჯეტიდან 2024 წელსაც მოხდეს იმ სოფლების წახალისება, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტატისტიკურად ყველაზე მეტი ქალი ჩაერთო. რაც შეეხება ღონისძიებების თემატიკას, სასურველია განისაზღვროს მოსახლეობასთან კონსულტაციით და ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე.</u>

საკითხი მესამე

,, გასულ წელს მულტუფინქციური სპორტულ- გამაჯანსაღებელი ცენტრი სოფელ კონტუათში აშენდა და მოეწყო. წარმოუდგენელი შედეგები გვაქვს, ათეულობით ახალგაზრდა ყოველ საღამოს იყრის თავს, დაკავებულია სპორტით და განტვირთვის საუკეთესო ადგილად იქცა მუნიციპალიტეტში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი და მივესალმები წარმოდგენილ პროექტს , რომ ასეთი მიზიდულობის ცენტრი შეიქმნას ქალაქ ხონშიც. შესანიშნავი ადგილია შერჩეული, პროექტიც მისაღებია,, -თამარ უგულავა, საბჭოს წევრი.

,,ქალაქის ცენტრში გვაქვს მოსასვენებელი ბულვარი, არაერთი სკვერი იგივე დანიშნულების, მაგრამ არსად არის თანამედროვე სპორტული ატრაქციები, სავარჯიშოები, მინი სტადიონი. სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია ახალგაზრდებისთვის და არამარტო,, - გუგა ბახტაძე, გენდერული საბჭოს წევრი.

,, უკეთესს რას ვიზამთ, ძაან გაამართლა და ხალხის აქტივობამ აჩვენა ,რომ მოთხოვნა არის. შესაბამისად , მოსახლეობის დაკვეთაა და სწორია მსგავსი ლოკაციების გაჩენა,, -ბაჩანა ბასილაია, საბჭოს წევრი.

<u>საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების შემდგომ საბჭოს გასცა რეკომენდაცია, რომ ხელი შეეწყოს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას, რათა მოხდეს ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და ადგილობრივი ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინება.</u>

დანართი: 3 (სამი) ფაილი;

ხონის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე: კობა კუბლაშვილი

მდივანი : აკაკი ქვათელაძე